სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/158

ქ. თბილისი 25 სექტემბერი 2025წ.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, ვიცე-რექტორის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-02/22 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი" დანართით წარმოდგენილი სახით (დანართი).
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში – უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

2. უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საჭირო რაოდენობის განსაზღვრა ხდება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, ხოლო მოწვეული პერსონალის – ყოველწლიურად, მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე.

მუხლი 2. პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტზე (სკოლაში) საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის/ფაკულტეტის (სკოლის) მისიიდან და ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტთა რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმია პროგრამაზე/საგანთა ჯგუფებში წლიური აკადემიური დატვირთვა.

3. საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სარეკომენდაციო კრიტერიუმებია:

3.1. საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების რაოდენობა;

3.2. საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების მრავალფეროვნება;

3.3. ერთი პერსონალის მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;

3.4. საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური ჯგუფების რაოდენობა;

3.5. სასწავლო კურსების/კომპონენტების მიხედვით ჯგუფებში სტუდენტების დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა;

3.6. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლების სამიზნე ნიშნულები;

3.7. პროგრამის მდგრადობის, აგრეთვე განვითარების უზრუნველყოფის მიზნით – რეგიონის/ქვეყნის მასშტაბით შესაბამის დარგში მიმდინარე პროცესები.

3.8. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის (სკოლის) ბიუჯეტი.

მუხლი 3. პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის და თანაფარდობის განსაზღვრა

1. ფაკულტეტზე (სკოლაში) საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის საფუძველია პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის, სასწავლო კურსების სპეციფიკის და სტუ-ში აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებისათვის მოქმედი ნორმატივების მიხედვით დადგენილი წლიური აკადემიური დატვირთვა.

2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ეფექტურად წარმართვის, აგრეთვე უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის მიზნით, სასწავლო პერსონალის ოპტიმალურად შერჩევისათვის, ცალკეული პროგრამების წლიური აკადემიური დატვირთვები დაიყოფა მონათესავე საგნების/საგანთა ჯგუფების (შემდგომში – საგანთა ჯგუფი) მიხედვით. საუნივერსიტეტო საგნების წლიური აკადემიური დატვირთვა გადაეცემა ფაკულტეტს/აკადემიურ დეპარტამენტს, სადაც ჩამოყალიბდება შესაბამისი საგანთა ჯგუფ(ებ)ი. უნივერსიტეტის მასშტაბით გამოიანგარიშება თითოეული საგანთა ჯგუფის წლიური ჯამური აკადემიური დატვირთვა.

3. ამ მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად განსაზღვრული თითოეული საგანთა ჯგუფის წლიური ჯამური აკადემიური დატვირთვა სასწავლო პერსონალის კატეგორიებზე განაწილდება შემდეგი თანაფარდობის დაცვით:

ა) აკადემიური დატვირთვის საათების 50% უნდა დაიგეგმოს აკადემიურ პერსონალზე (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი);

ბ) აკადემიური დატვირთვის საათების 20% უნდა დაიგეგმოს მოწვეულ პროფესორებზე (მოწვეული პროფესორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ასისტენტ-პროფესორი), მასწავლებლებზე და უფროს მასწავლებლებზე;

გ) აკადემიური დატვირთვის საათების 30% უნდა დაიგეგმოს საათობრივ ანაზღაურებაზე.

4. პროგრამების მდგრადობის მიზნით, ცალკეული პროგრამებისა და საგანთა ჯგუფებისათვის აკადემიური დატვირთვის განაწილების თანაფარდობა შეიძლება განსხვავდებოდეს ამ მუხლის მე-3 პუქტში მითითებულისაგან სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით (უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონაცემები, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა, უახლოეს პერიოდში ახალი პროგრამის შემუშავება, არსებულის მოდიფიცირება ან გაუქმება, სტუდენტთა კონტინგენტის მოსალოდნელი ცვლილება და სხვ.).

5. აკადემიური პერსონალისათვის დადგენილი აკადემიური დატვირთვა ნაწილდება პროფესორებზე, ასოცირებულ პროფესორებზე, ასისტენტ-პროფესორებზე და ასისტენტებზე, მათი ზღვრული აკადემიური დატვირთვების გათვალისწინებით და პროგრამის/საგანთა ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ., სასწავლო კურსებში სხვადასხვა სახის მეცადინეობების თანაფარდობა, კლასტერში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების წილი და უნივერსიტეტში დაგროვებული გამოცდილება).

6. აკადემიური დატვირთვის განაწილების პროცესი ხორციელდება ამ წესის დანართის შესაბამისად განსაზღვრული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და სამიზნე ნიშნულების მონაცემების გათვალისწინებით.

7. სასწავლო პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად მიღებული რაოდენობები დაზუსტდება/შეიძლება დაზუსტდეს უახლოეს სასწავლო წლებში სტუდენტთა კონტინგენტის მოსალოდნელი ცვლილების, უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების, ცალკეული პროგრამების სპეციფიკის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

8. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის პროგრამებისა და სასწავლო კურსების უმრავლესობა საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ისწავლება, პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, ცალკეული გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა აკადემიურ პერსონალთან ფორმდება აფილირების ხელშეკრულება. აფილირების ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება გახდეს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

9. პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, ყოველი მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე ხორციელდება საგანთა ჯგუფის აკადემიური დატვირთვის ანალიზი, რის საფუძველზეც დგინდება მოწვეული პერსონალის მიერ შესასრულებელი აკადემიური დატვირთვა, რის საფუძველზეც ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის პირებთან.

დანართი

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები და სამიზნე ნიშნულები

ა) აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის და აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან და სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი	რაოდენობა, სულ	თანაფარდობა სტუდენტებთან, სტუდენტი/პერსონალი	
		არსებული	სამიზნე ნიშნული
აკადემიური პერსონალი			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
- ასისტენტი			
აფილირებული აკადემიური პერსონალი			
- აფილირებული პროფესორი			
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი			
- აფილირებული ასისტენტ-პროფესორი			
- აფილირებული ასისტენტი			
უცხოელი პერსონალი (არსებობის შემთხვევაში)			
- სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა			
- კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა			
მოწვეული პერსონალი			

ბ) აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით

აკადემიური პერსონალი	პერსონალის თანაფარდობა, აკადემიური/მოწვეული	
	არსებული	სამიზნე ნიშნული
- პროფესორი		
- ასოცირებული პროფესორი		
- ასისტენტ-პროფესორი		
- ასისტენტი		

გ) სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით

სამეცნიერო პერსონალი	პერსონალის თანაფარდობა, სამეცნიერო/მოწვეული	
	არსებული	სამიზნე ნიშნული
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი		
- უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი		

დ) აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკადემიურ პერსონალთან

აფილირებული აკადემიური პერსონალი	პერსონალის თანაფარდობა, აფილირებული აკადემიური / მთლიანი აკადემიური	
	არსებული	სამიზნე ნიშნული
აფილირებული აკადემიური პერსონალი		
- აფილირებული პროფესორი		
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი		

- აფილირებული ასისტენტ-პროფესორი		
- აფილირებული ასისტენტი		

ე) აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან

აფილირებული აკადემიური პერსონალი	პერსონალის თანაფარდობა, აფილირებული აკადემიური / მოწვეული	
	არსებული	სამიზნე ნიშნული
აფილირებული აკადემიური პერსონალი		
- აფილირებული პროფესორი		
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი		
- აფილირებული ასისტენტ-პროფესორი		
- აფილირებული ასისტენტი		
მოწვეული პერსონალი		